



გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელით

21 იანვარი 2015 წელი

ქ. თბილისი

თბილისის სააპელაციო სასამართლო
ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა

მოსამართლე: ქეთევან დუგლაძე

სხდომის მდივანი: ნათია ზანდუკელი

აპელანტი – ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი
წარმომადგენელი - უჩა სეთური

აპელანტი – საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
წარმომადგენელი - თამარ ტალახაძე

დავის საგანი – ქმედების განხორციელების დავალება

გასაჩივრებული გადაწყვეტილება – თბილისის საქალაქო სასამართლოს
ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 29 სექტემბრის გადაწყვეტილება

1. აპელანტის ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის
მოთხოვნა: გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა
კოლეგიის 2014 წლის 29 სექტემბრის გადაწყვეტილება სარჩელის დაუკმაყოფილებელ
ნაწილში, სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული იქნას ახალი გადაწყვეტილება,
რომლითაც დაკმაყოფილდება სარჩელი სრულად.

2. აპელანტის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მოთხოვნა: გაუქმდეს თბილისის
საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 29
სექტემბრის გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებელ ნაწილში, სააპელაციო
სასამართლოს მიერ მიღებული იქნას ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც არ
დაკმაყოფილდება სარჩელი.

2. გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნებზე მითითება:
გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის
29 სექტემბრის გადაწყვეტილებით ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების

ინსტიტუტის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დაევალოს ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის მიერ 2014 წლის #27 იანვრის №OPD01/14-016 განცხადების პირველი, მე-2, მე-5, მე-7, მე-8, მე-9 და მე-10 პუნქტებით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის გაცემა მისი დამუშავების შემდეგ; სასარჩელო მოთხოვნა ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის მიერ 2014 წლის 27 იანვრის №OPD01/14-016 განცხადების მე-4 პუნქტით მოთხოვნილი ინფორმაციის გადაცემის ნაწილში არ დაკმაყოფილდა;

დასკვნები ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით:

2.1. ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა 2014 წლის 27 იანვარს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმართა №OPD01/14-016 განცხადებით, რომლითაც საჯარო ინფორმაციის სახით შემდეგი ინფორმაცია მოითხოვა: 1. 2013 წელს სამინისტროს თანამდებობის პირებზე (ცალ-ცალკე სახელისა და გვარის მითითებით) დარიცხული პრემიების ოდენობა თვეების მიხედვით; 2. 2013 წელს სამინისტროს თანამდებობის პირებზე (ცალ-ცალკე სახელისა და გვარის მითითებით) დარიცხული სახელფასო დანამატების ოდენობა თვეების მიხედვით; 3. მინისტრის და მისი მოადგილეების უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტების ქსეროასლები; 4. 2014 წლის იანვრის თვეში მინისტრის სამუშაო ელექტრონული ფოსტიდან სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებით გაგზავნილი და მიღებული წერილების ასლები; 5. 2013 წელს სამინისტროს მიერ გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯები (კონკრეტული ღონისძიებების ჩამონათვალის, თითოეულზე დახარჯული თანხის, ღონისძიების ჩატარების დროის, ადგილისა და მოწვეულ სტუმართა და სამინისტროსაგან წარმოდგენილ დასმწრე პირთა ოდენობის მითითებით); 6. 2013 წელს თანამდებობის პირების (ცალ-ცალკე სახელისა და გვარის მითითებით) მიერ როუმინგულ მომსახურებაზე გაწეული ხარჯები; 7. 2013 წელს სამინისტროს თანამდებობის პირების ქვეყნის გარეთ განხორციელებულ ოფიციალურ და სამუშაო ვიზიტებზე გაწეული სამივლინებო ხარჯების (სასტუმრო, მგზავრობა, დღიური და სხვა) შესახებ ინფორმაცია (ხარჯვითი კატეგორიების მიხედვით), მივლინების თარიღის, მივლინების მიზნისა და ქვეყნის მითითებით; 8. 2013 წელს საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის თანახმად, შესყიდვის გადაუდებლად განხორციელების აუცილებლობის შესახებ შესაბამისი მიწერილობა (წერილობითი შეთანხმება) შემსყიდველის ზემდგომ ან სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელ ორგანოსთან/თანამდებობის პირთან; 9. 2013 წელს გადაუდებელი აუცილებლობით განხორციელებული შესყიდვების სია, შესყიდვების სახეობის, მოცულობის, ობიექტისა და თანხის მითითებით; 10. იმ ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და კომპიუტერული ტექნიკის სია, რომელიც სახელმწიფო შესყიდვების მოქმედი კანონმდებლობით ახადი, იმავე ან გაუმჯობესებული პარამეტრების მქონე ერთი ან ერთზე მეტი ავტოსატრანსპორტო საშუალებით, კომპიუტერული ტექნიკით ჩანაცვლდა (თითოეულის მიმართ ახალი ღირებულებისა და ჩასანაცვლებელი ქონების შეფასებული ღირებულების მითითებით); 11. სამინისტროს ბალანსზე რიცხულ ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე 2013 წელს გაწეული ტექნიკურ მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯების შესახებ ინფორმაცია; 12. 2013 წლის აუდიტორული შემოწმების აქტები; 13. 2013 წელს აუდიტორული შემოწმების შედეგებს ამსახველი ინფორმაციის სამართალდამცავ ორგანოებში გაგზავნის შემთხვევების რაოდენობა; 14. 2013 წელს აუდიტორიული შემოწმების შედეგად

დასაქმებულთათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შემთხვევების ოდენობა (პასუხისმგებლობების ფორმის, სახისა და გამოყენების თარიღის მითითებით); 15. 2013 წელს მაკონტროლებელი (როგორც შიდა უწყებრივი, ისე გარე) ორგანოების მიერ შემოწმებრთ გამოვლენილი დარღვევა-ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად გატარებულ ღონისძიებათა ნუსხა (მათი მოკლე აღწერილობის მითითებით).

2.2. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2014 წლის 5 მარტის №01/13928 წერილის თანახმად, განმცხადებელს ეცნობა შემდეგი ინფორმაცია: 1. 2013 წელს ფინანსთა სამინისტროს თანამდებობის პირებზე დარიცხული პრემიების რაოდენობა შეადგენს - 175365- ლარს; 2. 2013 წელს ფინანსთა სამინისტროს თანამდებობის პირებზე დარიცხული სახელფასო დანამატების ოდენობა შეადგენს 648819 ლარს. ასევე ეცნობა, რომ ფინანსთა სამინისტროს ხელმძღვანელი თანამდებობის პირთა ხელფასების და პრემიების შესახებ დეტალური ინფორმაციის გაცნობა შესაძლებელი იყო www.declaration.gov.ge ვებ-გვერდზე. 3. განცხადების მე-3 პუნქტით მოთხოვნილი ინფორმაცია განმცხადებელს გაეგზავნა დანართის სახით. 4. ფინანსთა მინისტრის ელ-ფოსტიდან სამსახურებრივ საქმიანობასთა დაკავშირებით მიღებულ-გაგზავნილი წერილები არ წარმოადგენენ საჯარო ინფორმაციას; 5. 2013 წელს ფინანსთა სამინისტრომ უმასპინძლა 33 საერთაშორისო დელეგაციას (დელეგაციების შემადგენლობაში სხვადასხვა შემთხვევაში შედიოდა 3-დან 80-მდე ადამიანი). მათი მასპინძლობისათვის ფინანსთა სამინისტროს ბიუჯეტიდან დაიხარჯა 188 395,40 ლარი. დელეგაციების, მისიებისა და ვიზიტების შესახებ ინფორმაციის მოძიება შეიძლებოდა ფინანსთა სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.mof.ge. 6. 2013 წელს ფინანსთა სამინისტროს თანამდებობის პირების როუმინგულ მომსახურებაზე გაწეული ხარჯი შეადგენს 1461,83 ლარს; 7. 2013 წელს ფინანსთა სამინისტროს თანამდებობის პირების ქვეყნის გარეთ განხორციელებულ ოფიციალურ და სამუშაო ვიზიტებზე გაწეული ხარჯი შეადგენს 143554.73 ლარს (მათ შორის: დღიური - 41277.25 ლარი; სასტუმრო - 53665.01 ლარი; მგზავრობა 45869.57 ლარი, სხვა ხარჯები 2742.90 ლარი); 8. ფინანსთა სამინისტროს მიერ 2013 წლის განმავლობაში გადაუდებელი აუცილებლობით განხორციელდა 294890.43 ლარის ოდენობის საქონლის/მომსახურების შესყიდვა; 9. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ცენტრალური აპარატის თანამდებობის პირებზე განპიროვნებული 17 ავტომანქანის ტენიკური მომსახურების ხარჯი 2013 წლის განმავლობაში შეადგენს 36005.30 ლარს; 10. 2013 წელს ფინანსთა სამინისტროს ცენტრალური აპარატისათვის ჩანაცვლების წესით შეძენილ იქნა 22 ავტომანქანა, ღირებულებით - 212805.00 ლარი; 11. აუდიტორული შემოწმების შესახებ განმცხადებელს ეცნობა, რომ 2013 წელს აუდიტორული შემოწმება ფინანსთა სამინისტროს ცენტრალურ აპარატში არ განხორციელებულა.

2.3. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2014 წლის 28 მარტის №08-02/20572 წერილის თანახმად, ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტს უარი ეთქვა 2014 წლის 18 მარტს წარდგენილი ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-80 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად.

2.4. სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის "მ" ქვეპუნქტის თანახმად, საჯარო ინფორმაცია არის ოფიციალური დოკუმენტი (მათ შორის, ნახაზი, მაკეტი, გეგმა, სქემა, ფოტოსურათი, ელექტრონული ინფორმაცია, ვიდეო- და აუდიოჩანაწერები), ანუ საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია, ასევე საჯარო დაწესებულების მიერ პროაქტიულად გამოქვეყნებული ინფორმაცია.

ამავე კოდექსის 28-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, საჯარო ინფორმაცია ღიაა, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა და დადგენილი წესით პერსონალურ მონაცემებს, სახელმწიფო ან კომერციულ საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციისა.

ამავე კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ყველას აქვს უფლება მოითხოვოს საჯარო ინფორმაცია მისი ფიზიკური ფორმისა და შენახვის მდგომარეობის მიუხედავად და აირჩიოს საჯარო ინფორმაციის მიღების ფორმა, თუ იგი სხვადასხვა სახით არსებობს, აგრეთვე გაეცნოს ინფორმაციას დედანში. თუ არსებობს დედნის დაზიანების საფრთხე, საჯარო დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს ზედამხედველობის ქვეშ მისი გაცნობის შესაძლებლობა ან წარუდგინოს სათანადო წესით დამოწმებული ასლი.

2.5. სასამართლომ აღნიშნა, რომ ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის 2014 წლის 27 იანვრის №OPD01/14-016 განცხადების პირველი და მე-2 პუნქტები შეეხებოდა 2013 წელს სამინისტროს თანამდებობის პირებზე (სახელობითად) დარიცხული პრემიებისა და სახელფასო დანამატების ოდენობას, თვეების მიხედვით. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ აღნიშნული ინფორმაცია გასცა არა იმ შინაარსით, როგორადაც მას განმცხადებელი მოითხოვდა, არამედ 2013 წელს გაცემული პრემიებისა და დანამატების ოდენობა დაჯამებული სახით. ამასთან, ადმინისტრაციულმა ორგანომ მიუთითა ვებ-გვერდზე, სადაც განთავსებულია თავად თანამდებობის პირების მიერ წარდგენილი დეკლარაციები.

2.6 სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ საჯარო ინფორმაციის ამ სახით გაცემა არ შეესაბამება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 თავით დადგენილ სტანდარტს. აღსანიშნავია, რომ თანამდებობის პირებზე დარიცხულ პრემიას/დანამატს, თავად ამ პირის პერსონალური მონაცემების მითითებით გააჩნია საჯარო ინფორმაციის მახასიათებლები და დაინტერესებული პირის მიერ მოთხოვნის შემთხვევაში იგი უნდა გაიცეს იმ ფორმით, როგორადაც მას განმცხადებელი მოითხოვს. ამასთან, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა არ გულისხმობს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ რაიმე (www.declaration.gov.ge) ვებ-გვერდზე მითითებას, სადაც ეს ინფორმაცია, თუნდაც იმავე შინაარსით, შეიძლება იყოს დაცული. ამ შემთხვევაში, დასახელებულ ვებ-მისამართზე გამოქვეყნებულია "საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ" კანონში დასახელებული თანამდებობის პირების ქონებრივი დეკლარაციები. თანამდებობის პირის ქონებრივი დეკლარაცია შეიცავს მხოლოდ წინა წლის ანაზღაურებადი მუშაობით მიღებული შემოსავლის ჯამურ თანხას და საჯარო ინფორმაციის

40
მომთხოვნი პირისათვის შეუძლებელია ერთიანი თანხის შემადგენელი კომპონენტების დიფერენცირება.

2.7 სასამართლომ მიუთითა, რომ 2014 წლის 27 იანვარს წარდგენილი განცხადების მე-5 პუნქტით ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი მოითხოვდა სამინისტროს ეცნობებინა 2013 წელს გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯების ოდენობა (კონკრეტული ღონისძიებების ჩამონათვალის, თითოეულზე დახარჯულ თანხის, ღონისძიების ჩატარების დროის, ადგილისა და მოწვეულ სტუმართა და სამინისტროსაგან წარმოდგენილ დასმწრე პირთა ოდენობის მითითებით); აღნიშნულ მოთხოვნაზე სამინისტრომ გასცა შემდეგი სახის ინფორმაცია: 2013 წელს ფინანსთა სამინისტრომ უმასპინძლა 33 საერთაშორისო დელეგაციას (დელეგაციების შემადგენლობაში სხვადასხვა შემთხვევაში შედიოდა 3-დან 80-მდე ადამიანი). მათი მასპინძლობისათვის ფინანსთა სამინისტროს ბიუჯეტიდან დაიხარჯა 188 395,40 ლარი. დელეგაციების, მისიებისა და ვიზიტების შესახებ ინფორმაციის მოძიება შეიძლებოდა ფინანსთა სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.mof.ge.

2.8 ამავე განცხადების მე-7 პუნქტით განმცხადებელი მოითხოვდა 2013 წელს სამინისტროს თანამდებობის პირების ქვეყნის გარეთ განხორციელებულ ოფიციალურ და სამუშაო ვიზიტებზე გაწეული სამივლინებო ხარჯების (სასტუმრო, მგზავრობა, დღიური და სხვა) შესახებ ინფორმაციას (ხარჯვითი ვატეგორიების მიხედვით), მივლინების თარიღის, მივლინების მიზნისა და ქვეყნის მითითებით; აღნიშნულ მოთხოვნაზე სამინისტრომ გასცა შემდეგი სახის ინფორმაცია: 2013 წელს ფინანსთა სამინისტროს თანამდებობის პირების ქვეყნის გარეთ განხორციელებულ ოფიციალურ და სამუშაო ვიზიტებზე გაწეული ხარჯი შეადგენს 143554.73 ლარს (მათ შორის: დღიური - 41277.25 ლარი; სასტუმრო - 53665.01 ლარი; მგზავრობა 45869.57 ლარი, სხვა ხარჯები 2742.90 ლარი); ამავე განცხადების მე-8, მე-9 და მე-10 პუნქტები შეეხებოდა სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას შესყიდვების პროცედურის, სახეობების, მოცულობის, ჩანაცვლებული ტექნიკის თაობაზე და სხვა ინფორმაციის საჯაროობას.

2.9 სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2014 წლის 5 მარტის №01/13928 წერილი განცხადების მე-8 პუნქტთან მიმართებით ინფორმაციას არ შეიცავს. ეს ინფორმაცია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანებით დამტკიცებული გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის "ზ" ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო შესყიდვის პროცედურას წარმოადგენს. რაც შეეხება მე-5, მე-7, მე-9 და მე-10 პუნქტებს, სამინისტრომ მათზე (თითოეულისათვის) გასცა 2013 წელს გაწეული ხარჯის ჯამური მონაცემი.

2.10 სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხის მიერ წარმომადგენლობითი ხარჯების განსაზღვრისათვის ადმინისტრაციული ორგანოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე ინფორმაციის მოძიების შესაძლებლობაზე მითითება, არ წარმოადგენს საჯარო ინფორმაციის გაცემას, ვინაიდან საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაცია დელეგაციების, მისიებისა და ვიზიტების თაობაზე, არ იძლევა ამ ღონისძიებებისათვის გაწეული ხარჯების გამიჯვნის შესაძლებლობას. რაც შეეხება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის შესაბამისად, გადაუდებელი

91

აუცილებლობით განხორციელებული შესყიდვების თაობაზე წერილობითი შეთანხმების, შესყიდვების სიისა და სხვა ინფორმაციის (განცხადების მე-8, მე-9, მე-10 პუნქტები) გაცემას, სასამართლომ მიუთითა, რომ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის მე-2 მუხლის "დ" ქვეპუნქტის თანახმად, ამ კანონის მიზანია სახელმწიფო შესყიდვების საჯაროობის უზრუნველყოფა. სამინისტროს მიერ გაცემული პასუხი "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონით გათვალისწინებულ რომელიმე გამონაკლისზე მითითებას არ შეიცავს.

2.11 სასამართლომ განმარტა, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე მუხლის მე-2 ნაწილი ადგენს წესს: საჯარო ინფორმაციის მისაღებად პირი წარადგენს წერილობით განცხადებას. აუცილებელი არ არის, განცხადებაში მიეთითოს საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის მოტივი ან მიზანი. ამდენად, განმცხადებელი საკანონმდებლო დანაწესით არ არის შეზღუდული მოითხოვოს კონკრეტული შინაარსის საჯარო ინფორმაცია. კანონმდებლის მიერ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის მოტივისა და მიზნის მითითებისაგან განმცხადებლის გათავისუფლება გულისხმობს სწორედ იმასაც, რომ პირი თავად განსაზღვრავს ინფორმაციის შინაარსს მისთვის საჭირო მიზნობრიობიდან გამომდინარე.

2.12 სასამართლომ მიუთითა, რომ მართალია, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია სხვა მონაცემით (წლიური ჯამის სახით) ასახა მის მიერ გაცემულ პასუხში, მაგრამ იგი ვერ აკმაყოფილებს განმცხადებლის ინტერესს გაეცნოს ადმინისტრაციულ ორგანოს მიერ საბიუჯეტო თანხების ხარჯვის მიზნობრიობას. ამგვარი ინფორმაცია ღიაა და ეფუძნება ბიუჯეტის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას ნებისმიერი პირისათვის (საბიუჯეტო კოდექსის მე-4.1 მუხლის "ბ" ქვეპუნქტი).

2.13 სასამართლომ მიუთითა, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37.1 მუხლის თანახმად, თავად განმცხადებელი არჩევს საჯარო ინფორმაციის მისთვის სასურველ ფორმას თუ საჯარო ინფორმაცია სხვადასხვა ფორმით არსებობს. მოცემულ შემთხვევაში, განმცხადებელს საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ვერსია არ მოუთხოვია, მით უმეტეს, რომ მის მიერ მოთხოვნილი კონკრეტული შინაარსის შემცველი ინფორმაციის ელექტრონული ვერსია სამინისტროს ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული არ ყოფილა.

2.14 სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის მითითება ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების თაობაზე და მიუთითა საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აგვისტოს №219 დადგენილებაზე. აღნიშნული ნორმატიული აქტის დანართი შეიცავს პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის ნუსხას. ვებ-გვერდზე - www.mof.ge, განთავსებულია საჯარო ინფორმაცია, მათ შორის თანამდებობის პირებზე დარიცხული პრემიების/დანამატებისა და სახელმწიფო შესყიდვების თაობაზე ინფორმაცია, რომელიც გამოქვეყნებულია ჯამური მონაცემით და განახლებადია ხსენებულ დადგენილებაში დაწესებული პერიოდულობით. მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელე მოითხოვდა საჯარო ინფორმაციის გაცემას, რომელიც მოიცავდა სრულ კალენდარულ წელს და დაჯგუფებული იყო კონკრეტული კრიტერიუმების მიხედვით. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-40 მუხლის მე-3 ნაწილის დანაწესი ემსახურება იმ მიზანს, რომ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნი პირი არ

შეიზღუდოს პროაქტიულად გამოქვეყნებული ინფორმაციის შინაარსით და მისთვის სასურველი ინფორმაცია მიიღოს დადგენილი წესით.

2.15 სასამართლოს მოსაზრებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვალდებული იყო მიუხედავად ამა თუ იმ ინფორმაციის ელექტრონული ფორმით საიტზე გამოქვეყნებისა, გაეცა ზუსტად იმ შინაარსის ინფორმაცია, რაც განმცხადებლის მიერ იყო მოთხოვნილი.

2.16 ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-40 მუხლი ადგენს საჯარო ინფორმაციის გაცემის წესს. აღნიშნული ნორმის პირველი ნაწილის მიხედვით, საჯარო დაწესებულება ვალდებულია გასცეს საჯარო ინფორმაცია, მათ შორის, ელექტრონული ფორმით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია, დაუყოვნებლივ ან არა უგვიანეს 10 დღისა, თუ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე პასუხის გაცემა მოითხოვს: ა) სხვა დასახლებულ პუნქტში არსებული მისი სტრუქტურული ქვედანაყოფიდან ან სხვა საჯარო დაწესებულებიდან ინფორმაციის მოძიებასა და დამუშავებას; ბ) მნიშვნელოვანი მოცულობის ერთმანეთთან დაუკავშირებელი ცალკეული დოკუმენტების მოძიებასა და დამუშავებას; გ) სხვა დასახლებულ პუნქტში არსებულ მის სტრუქტურულ ქვედანაყოფთან ან სხვა საჯარო დაწესებულებასთან კონსულტაციას.

2.17 სასამართლომ მიუთითა, რომ მოცემულ შემთხვევაში ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის მიერ, 2014 წლის 27 იანვარს, წარდგენილ განცხადებაზე პასუხის გაცემა მოითხოვდა მნიშვნელოვანი მოცულობის ერთმანეთთან დაუკავშირებელი ცალკეული დოკუმენტების მოძიებასა და დამუშავებას. ამგვარად, აღნიშნული ნორმა ავალდებულებს ადმინისტრაციულ ორგანოს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში გადაახარისხოს უკვე დამუშავებული მონაცემი წარმოდგენილი მოთხოვნის შესაბამისად და გასცეს იგი ზუსტად იმ ფორმითა და შინაარსით, როგორცაა მას ირჩევს საჯარო ინფორმაციის მომთხოვნი პირი.

2.18 საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 24-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი შეიძლება აღიძრას ისეთი მოქმედების განხორციელების ან ისეთი მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნით, რომელიც არ გულისხმობს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას.

2.19 ამავე კოდექსის 33¹ მუხლის მიხედვით, თუ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ რაიმე მოქმედების განხორციელება ან უარი რაიმე მოქმედების განხორციელებაზე უკანონოა და ის პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს, სასამართლო ამ კოდექსის 24-ე მუხლში აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით გამოიტანს გადაწყვეტილებას, რომლითაც ადმინისტრაციულ ორგანოს ავალებს, განხორციელოს ეს მოქმედება ან თავი შეიკავოს ამ მოქმედების განხორციელებისაგან.

2.20 სასამართლომ მიუთითა, რომ მოცემულ შემთხვევაში მოთხოვნას წარმოადგენს საჯარო ინფორმაციის გაცემა, რომელიც წარმოადგენს ქმედებას და მისი განხორციელების ვალდებულებაც კანონმდებლობით აკისრია მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს. ამგვარად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებული იყო კონკრეტული სახის ინფორმაცია დაემუშავებინა განცხადებაში მითითებული

კრიტერიუმების შესაბამისად და მიეწოდებინა. იგი მომთხოვნი პირისათვის. ამდენად, წარმოდგენილი -სარჩელი ეფუძნება ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 24-ე მუხლს და არსებობს მისი (დაზუსტებული მოთხოვნის ზემოთ ხსენებული პუნქტების) დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძვლები.

2.21 სასამართლომ მიიჩნია, რომ ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის 2014 წლის 27 იანვრის №OPD01/14-016 განცხადების მე-4 პუნქტის მოთხოვნა ვერ აკმაყოფილებს საჯარო ინფორმაციის მოთხოვნისათვის დადგენილ სამართლებრივ საფუძვლებს.

2.22 სასამართლომ მიუთითა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის "მ" ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, საჯარო ინფორმაცია არის ოფიციალური დოკუმენტი (მათ შორის, ნახაზი, მაკეტი, გეგმა, სქემა, ფოტოსურათი, ელექტრონული ინფორმაცია, ვიდეო- და აუდიოჩანაწერები), ანუ საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული; დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია, ასევე საჯარო დაწესებულების მიერ პროაქტიულად გამოქვეყნებული ინფორმაცია.

2.23 სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელის მოთხოვნაა საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ სამსახურებრივი ელექტრონული ფოსტიდან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით გაგზავნილი და მიღებული წერილების ასლები.

2.24 სასამართლომ განმარტა, რომ ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული დოკუმენტის შესახებ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის "ა.ა" ქვეპუნქტის მიხედვით, ელექტრონული დოკუმენტი არის ელექტრონული, ოპტიკური ან სხვა მსგავსი საშუალების გამოყენებით შექმნილი, გაგზავნილი, მიღებული ან შენახული წერილობითი ინფორმაცია, რომელიც ადასტურებს იურიდიული მნიშვნელობის ფაქტს ან იურიდიული მნიშვნელობის არმქონე ფაქტს. ამავე მუხლის "ა.ბ" ქვეპუნქტის თანახმად, მატერიალური დოკუმენტი არის ქაღალდზე ან სხვა მატერიალურ მატარებელზე წარმოდგენილი ინფორმაცია, რომელიც ადასტურებს იურიდიული მნიშვნელობის ფაქტს ან იურიდიული მნიშვნელობის არმქონე ფაქტს. ამდენად, ელექტრონული დოკუმენტი, მატერიალური დოკუმენტსაგან განსხვავდება მხოლოდ არსებობის ფორმით, ხოლო მათი შინაარსობრივი განმარტება იდენტურია.

2.25 სასამართლოს მოსაზრებით როგორც ელექტრონული, ისევე მატერიალური დოკუმენტი საჯარო ინფორმაციისათვის დადგენილ კრიტერიუმებს აკმაყოფილებს, თუ იგი ჩართულია საჯარო დაწესებულების დოკუმენტბრუნვის ერთიან სისტემაში და მისი დამუშავების, შენახვის, დაცვის და სხვ. ვალდებულება კანონმდებლობით აკისრია საჯარო დაწესებულებას. გარდა ამისა, საჯარო ინფორმაციას წარმოადგენს დოკუმენტის საბოლოო სახე და არა მის შესაქმნელად წარმოებული მოსაზადებელი (სამუშაო) მასალა.

2.26 სასამართლომ მიუთითა, რომ მოცემულ შემთხვევაში განმცხადებელი ითხოვდა 2014 წლის იანვრის თვეში მინისტრის სამუშაო ელექტრონული ფოსტიდან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით გაგზავნილი და მიღებული წერილების ასლების გადაცემას. თუმცა მას არ მიუთითებია კონკრეტული შინაარსი,

რაც დოკუმენტის საჯარო ინფორმაციად მიჩნევის შესაძლებლობას შექმნიდა. სასამართლომ მიიჩნია, რომ სასარჩელო მოთხოვნა ამ ნაწილში დაუსაბუთებელია და იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

3. ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის სააპელაციო საჩივრის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები:

3.1. აპელანტი მიუთითებს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების 6.2 ნაწილი (საქმეზე 3/1318-14) არ არის დასაბუთებული. სასამართლოს გადაწყვეტილება ამ ნაწილში შეიცავს მთელ რიგ სამართლებრივ უსწორობებს.

2014 წლის 27 იანვარს ა(ა)იპ- ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს N14-016 წერილით მოსთხოვა საჯარო ინფორმაციის მიღება რამდენიმე საკითხზე. სამინისტრომ ინსტიტუტს 2014 წლის 5 მარტს მიწერა წერილი, რომლითაც არ გასცა საჯარო ინფორმაციას სრულყოფილი სახით, რითაც დაარღვია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ნორმები.

საჯარო ინფორმაციის გაცემა მოთხოვნილია სრულყოფილი სახით, რაც გულისხმობს საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე ორგანოს მიერ სრულყოფილი პასუხის გაცემის ვალდებულებას, ვინაიდან ხსენებული მოთხოვნა არ შეიცავს სზაკ-ით გათვალისწინებულ საიდუმლო ინფორმაციას და შესაბამისად, მოქმედი კანონმდებლობით მიჩნეული არის საჯარო ინფორმაციად.

წარდგენილი სარჩელი რამდენიმე პუნქტისაგან შედგებოდა. სასარჩელო მოთხოვნის მე-4 პუნქტი შეეხებოდა მინისტრის სამსახურებრივი ფოსტიდან მიღებული და გაგზავნილი წერილების ასლებს, რომელიც დაკავშირებული იყო სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან.

სამინისტროს მხრიდან უარი გვეთქვა იმ არგუმენტით, რომ „მოქმედი კანონმდებლობის თანახმად აღნიშნული არ წარმოადგენს საჯარო ინფორმაციას“, ჩვენთვის გაუგებარია რა საკანონმდებლო საფუძველზე ამყარებს თავის უარს ადმინისტრაციული ორგანო, რამდენადაც მოთხოვნა დაფუძნებულია სზაკ-ის მე-2 მუხლის „დ“ ქვეპუნქტში მოცემულ განმარტებაზე, რომ „მოხელის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია“ საჯაროა.

სასარჩელო მოთხოვნის აღნიშნულ ნაწილთან დაკავშირებით მივიჩნიეთ, რომ მოპასუხე საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის საფუძვლად არასწორად უთითებდა სამართლებრივ ნორმას, კერძოდ: სზაკ-ის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „ნ“ პუნქტს; საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლის პირველ ნაწილს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის შესახებ; საქართველოს საგადასახადო კოდექსის 39-ე მუხლის 39-ე მუხლის პირველ პუნქტს.

2014 წლის 29 სექტემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით უარი გვეთქვა სარჩელის აღნიშნულ პუნქტზე. სასამართლომ გადაწყვეტილების გამოტანისას გამოიყენა : საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი; საჯარო ინფორმაციის

ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პრაქტიკულად გამოქვეყნების შესახებ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აგვისტოს #219 დადგენილება.

სასამართლო მოტივაცია შემდეგნაირადაა ჩამოყალიბებული: 1.სასამართლო მიიჩნევს, რომ აღნიშნული სასარჩელო მოთხოვნა ვერ აკმაყოფილებდა საჯარო ინფორმაციის მოთხოვნისათვის დადგენილ სამართლებრივ საფუძვლებს. 2- სასამართლო ეწინააღმდეგება სზაკ-ის მე-2 მუხლის „მ“ პუნქტს, რომლის შესაბამისად საჯარო ინფორმაცია ეს არის ოფიციალური დოკუმენტი. 3. სასამართლო გადაწყვეტილების მოტივაციაში საუბრობს „ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული დოკუმენტის შესახებ“ საქართველოს კანონის მეორე მუხლის „ა.ა“ ქვეპუნქტზე, რომლის შესაბამისად „ელექტრონული დოკუმენტი ეს არის ელექტრონული, იპტიკური ან სხვა მსგავსი საშუალების გამოყენებით შექმნილი, გაგზავნილი, მიღებული ან შენახული წერილობითი ინფორმაცია, რომელიც ადასტურებს იურიდიული მნიშვნელობის ფაქტს, ან იურიდიული მნიშვნელობის არმქონე ფაქტს. 4. სასამართლოს მოსაზრებით, ელექტრონული ისევე როგორც მატერიალური საჯარო ინფორმაციისათვის დადგენილ კრიტერიუმებს აკმაყოფილებს, თუ იგი ჩართულია საჯარო დაწესებულების დოკუმენტ ბრუნვის ერთიან სისტემაში და მისი გაცემის და ა.შ. ვალდებულებები აკისრია საჯარო დაწესებულებას. 5. სასამართლოს განმარტებით, საჯარო ინფორმაციას წარმოადგენს საბოლოო დოკუმენტი და არა მის შესაქმნელად წარმოებული მოსამზადებელი მასალა. სასამართლო აღნიშნავს, რომ ჩვენს მხარეს არ დაუკონკრეტებია რა შინაარსის ინფორმაციას მოითხოვდა, რაც შექმნიდა დოკუმენტის საჯარო ინფორმაციად მიჩნევის შესაძლებლობას.

აპელანტს მიაჩნია, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიღებისას სასამართლომ დაარღვია მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობა, მხოლოდ გასაჩივრებულ ნაწილში კერძოდ სასამართლომ : არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა; გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა; არასწორად განმარტა კანონი.

საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევა მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი.

ამავდროულად ადგილი აქვს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ და „ე1“ პუნქტებით გათვალისწინებულ მოცემულობას, ვინაიდან მოთხოვნის ნაწილში გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული და ასევე გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლომ მიიჩნია, რომ სასარჩელო მოთხოვნა ვერ აკმაყოფილებდა საჯარო ინფორმაციის მოთხოვნისათვის დადგენილ სამართლებრივ საფუძვლებს. სრულიად გაუგებარია რა კონტექსტშია ეს ჩანაწერი სასამართლოს გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილიდან იმ მუხლთან, რომელსაც სასამართლო უთითებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსიდან. ვფიქრობთ, რომ სასამართლომ არასწორად გამოიყენა კანონი, ასევე არასწორად განმარტა კანონი.

სასამართლომ მტკიცებულებების შეფასების გარეშე მოახდინა საქმისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებების შეფასება. სასამართლომ არ მოახდინა ჩვენს

მიერ გამოთხოვილი მონაცემების გამოთხოვა და შესწავლა, შესაბამისად შეუძლებელია ემსჯელა ამ დოკუმენტების შინაარსის და მათ მიერ საჯარო ინფორმაციის კრიტერიუმების დაკმაყოფილება-არდაკმაყოფილების შესახებ.

მხარეებს სჯდაოდ არ გაუხდიათ ის გარემოება, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის „მ“ ქვეპუნქტი, საჯარო ინფორმაციის ერთ-ერთ სახედ ელექტრონული ინფორმაციის სახით და ფორმით არსებული ოფიციალური დოკუმენტი განიხილება, რომელიც საჯარო დაწესებულებაშია დაცული, აგრეთვე საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებითაა მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროში დანერგული საქმის წარმოების ავტომატიზებული სისტემა სამსახურებრივი დოკუმენტების ქალაქის გამოუყენებლად მოძრაობის საშუალებას იძლევა. სისტემის მეშვეობით მარტივად ხდება დავალებების, მათზე რეაგირებისა და სხვა ორგანიზაციული საკითხების მუდმივი მონიტორინგის პროცესის განხორციელება. ანალოგიურ პლადფორმას წარმოადგენს სამსახურებრივი ფოსტაც, რომელიც წარმოდგენილია ფინანსთა სამინისტროს ელექტრონულ გვერდზე და გამოიყენება სამსახურებრივი ინფორმაციის და მათ შორის საჯარო ინფორმაციის ბრუნვისათვის. ჩვენი ორგანიზაციის საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაში საუბარი იყო მხოლოდ სამსახურებრივ ელექტრონულ ფოსტაზე და იმ ინფორმაციაზე, რომელსაც მინისტრი იღებს და აგზავნის სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში თუ მინისტრი სამსახურებრივ ფოსტას იყენებს პირადი მიმოწერისათვისაც ეს გზავნილები ჩველი მოთხოვნის მიღმა რჩება.

სასამართლო გადაწყვეტილების მოტივაციაში საუბრობს „ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული დოკუმენტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ა.ა“ ქვეპუნქტზე, რომლის შესაბამისად „ელექტრონული დოკუმენტი არის ელექტრონული, ოპტიკური ან სხვა მსგავსი საშუალების გამოყენებით შექმნილი, გაგზავნილი, მიღებული ან შენახული წერილობითი ინფორმაცია, რომელიც ადასტურებს იურიდიული მნიშვნელობის ფაქტს ან იურიდიული მნიშვნელობის არმქონე ფაქტს. სასამართლოს მოსაზრებით, ელექტრონული ინფორმაცია ისევე როგორც მატერიალური ფორმით არსებული ინფორმაცია იმ შემთხვევაში თუ საჯარო ინფორმაციისათვის დადგენილ კრიტერიუმებს აკმაყოფილებს, იგი ჩართულია საჯარო დაწესებულების დოკუმენტ ბრუნვის ერთიან სისტემაში და მისი გაცემის და ა.შ. ვალდებულებები აკისრია საჯარო დაწესებულებას. სასამართლოს განმარტებით საჯარო ინფორმაციას წარმოადგენს საბოლოო დოკუმენტი და არა მის შესაქმნელად წარმოებული მოსამზადებელი მასალა. სასამართლო აღნიშნავს, რომ ჩვენს მხარეს არ დაუკონკრეტებია რა შინაარსის ინფორმაციას მოსთხოვდა, რაც შექმნიდა დოკუმენტის საჯარო ინფორმაციად მიჩნევის შესაძლებლობას.

აპელანტის მოსაზრებით სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი ამ ნაწილშიც. მან ამ ნორმის საფუძველზე გამორიცხა ის გარემოება, რომ არ იყო შესაძლებელი მინისტრის სამსახურებრივი ელექტრონული ფოსტით გადაეგზავნა იმგვარი ელექტრონული დოკუმენტი, რომელსაც არ შეეძლო დაედასტურებინა იურიდიული მნიშვნელობის ფაქტი. მინისტრს შესაძლოა გადაეგზავნა მისი მოადგილეებისათვის ან სამინისტროს რომელიმე სტრუქტურული ქვედანაყოფისათვის გადაეგზავნა ელექტრონული დოკუმენტი, რომელიც დააკმაყოფილებდა კანონით დადგენილ კრიტერიუმებს.

მიგვაჩნია რომ სასამართლომ მიერ მითითებული მოტივაცია არ არის საკმარისი და შეუძლებელია ამ მსჯელობას დამდგარი შედეგი მოყოლოდა.

სასამართლომ არ გამოიყენა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „გ“ და „დ“ პუნქტები. გარდა იმისა, რომ მინისტრს შესაძლოა გადაეგზავნა ელექტრონული ფორმით ამგვარი მონაცემები, რადგან მინისტრს შესაძლოა მის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხებზე ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოეცა ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი, რომელიც დააწესებდა, შეცვლიდა, შეწყვეტდა ან დაადასტურებდა პირის ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს. ამავე მუხლის შესაბამისად ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად ჩაითვლება აგრეთვე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მის უფლებამოსილებას მიკუთვნებული საკითხის დაკმაყოფილებაზე განმცხადებლისათვის უარის თქმის შესახებ, ასევე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ან დადასტურებული დოკუმენტი, რომელსაც შეიძლება მოყვეს სამართლებრივი შედეგები.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით. ამავე კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად მოსაზრებები, რომლებიც საფუძვლად უდევს სასამართლოს შინაგან რწმენას უნდა აისახოს გადაწყვეტილებაში. აღნიშნული მსჯელობა სასამართლოს გადაწყვეტილებაში ჩვენი მოსაზრებით წარმოდგენილი არ არის.

აპელანტის მოსაზრებით გასაჩივრებულ გადაწყვეტილების მიღებისას სასამართლომ დაარღვია მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობა, გადაწყვეტილების მე-4 პუნქტი.

3.2 საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სააპელაციო საჩივრის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები:

აპელანტი მიუთითებს, რომ ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა 2014 წლის 27 იანვარს განცხადებით მიმართა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით. აღნიშნული განცხადებით მოსარჩელე ითხოვდა ინფორმაციას: 2013 წელს სამინისტროს თანამდებობის პირებზე დარიცხული პრემიებისა და სახელფასო დანამატების ოდენობის შესახებ. მინისტრისა და მისი მოადგილეების უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტების ქსეროასლებს. 2014 წლის იანვრის თვეში მინისტრის სამუსაო ელექტრონული ფოსტიდან სამსახურებრივ საქმეებთან დაკავშირებით გაგზავნილი და მიღებული წერილების ასლებს. 2013 წელს სამინისტროს მიერ გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯების, 2013 წელს თანამდებობის პირების მიერ ე.წ. „როუმინგულ“ მომსახურებაზე გაწეული ხარჯების, 2013 წელს თანამდებობის პირების მიერ ქვეყნის გარეთ განხორციელებულ ოფიციალურ და სამუშაო ვიზიტებზე გაწეული სამივლინებო ხარჯების შესახებ ინფორმაციას, ასევე 2013 წელს შესყიდვების გადაუდებლად

განხორციელების თაობაზე, ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და კომპიუტერული ტექნიკის შესყიდვისა და ტექნიკურ მომსახურებასთან დაკავშირებულ ხარჯებზე და 2013 წლის აუდიტორიული შემოწმების შესახებ ინფორმაციას.

აღნიშნულ განცხადებებზე საფუძველზე საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის მოთხოვნა საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით დააკმაყოფილა და 2014 წლის 5 მარტის N01/13928 წერილით გასცა შესაბამისი ინფორმაცია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნა რეალური მოქმედების (რეალაქტის) განხორციელებასთან დაკავშირებით კერძოდ, მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე დაკმაყოფილებულია და დავის საგანს აღარ უნდა წარმოადგენდეს.

2014 წლის 5 მარტის N01/13928 წერილით საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ მხარეს აცნობა 2013 წელს თანამდებობის პირებზე დარიცხული პრემიებისა და სახელფასო დანამატების ჯამური ოდენობის შესახებ, კერძოდ, 2013 წელს ფინანსთა სამინისტროს თანამდებობის პირებზე დარიცხული პრემიების ოდენობა შეადგენს 175365 ლარს, ხოლო სახელფასო დანამატების ოდენობა შეადგენს 648819 ლარს. გარდა ამისა, დეტალური ინფორმაციის ელექტრონული ფორმით გაცნობის მიზნით მიუთითა შესაბამისი ვებ-გვერდის მისამართი. „საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აგვისტოსა N219 დადგენილების თანახმად, ინფორმაცია გაცემული სარგოს, დანამატისა და პრემიების კვარტალური ოდენობების შესახებ, თანამდებობის პირებზე ქვეყნდება (ჯამურად) და სხვა თანამშრომლებზე (ჯამურად). შესაბამისად საქართველოს ფინანსთა სამინისტრო მონაცემებს ამუშავებს კვარტალური ოდენობის შესაბამისად და ამიტომაც გაიცა ინფორმაცია აღნიშნული სახით. აქედან გამომდინარე, კვარტლის 3 თვის მონაცემიდან ყოველთვიური პრემიის ოდენობის დადგენა წარმოადგენს არითმეტიკის საკითხს და დამატებითი დაანგარიშება ინფორმაციის სიზუსტეზე არ აისახება. იგივე შედეგი იქნებოდა პრემიის დღიური, ყოველკვირეული და ა.შ. ვადით გამოთვლის შემთხვევაშიც. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო მოქმედებდა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, რადგან 2014 წლის 27 იანვრის განცხადებით, მოსარჩელე თავად ითხოვდა ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მიწოდებას. შესაბამისად, ინფორმაციაც მიწოდებულ იქნა ელექტრონული ფორმის სახით, რაც სამინისტროს გააჩნდა და სრულიად გაუგებარია მხარის აპელირება ინფორმაციის არასრულყოფილად წარმოდგენის შესახებ.

ამასთან, მოსარჩელე ითხოვდა 2013 წელს სამინისტროს თანამდებობის პირების ქვეყნის გარეთ განხორციელებულ ოფიციალურ და სამუშაოზე ვიზიტებზე გაწეული სამივლინებო ხარჯების შესახებ ინფორმაციას, რაზეც საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ ზემოაღნიშნული წერილით განუმარტა მოსარჩელეს, რომ 2013 წელს ფინანსთა სამინისტრომ უმასპინძლა 33 (ოცდაცამეტი) საერთაშორისო დელეგაციას (დელეგაციების შემადგენლობაში სხვადასხვა შემთხვევაში შედიოდა 3-დან 80 ადამიანამდე). მათი მასპინძლობისთვის ფინანსთა სამინისტროს ბიუჯეტიდან დაიხარჯა 188395,40 ლარი. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ აგრეთვე გასცა მოთხოვნილი ინფორმაცია 2013 წელს საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის თანახმად, განხორციელებულ გადაუდებელ სახელმწიფო

შესყიდვებთან დაკავშირებით, რაზეც მხარეს განემარტა, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ 2013 წლის განმავლობაში გადაუდებელი აუცილებლობით განხორციელდა 294890,43 ლარის ოდენობით საქონლის/მომსახურების შესყიდვა. აგრეთვე მიეწოდა ინფორმაცია 2013 წელს ფინანსთა სამინისტროს ცენტრალური აპარატისთვის ჩანაცვლების წესით შემენილ ავტოსატრანსპორტო საშუალებებთან დაკავშირებით, რომელთა ოდენობაც შეადგენს 22 ერთეულ ავტოსატრანსპორტო საშუალებას, ხოლო ღირებულება 212805,00 ლარს.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის მიერ მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ იქნა გაცემული საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად სრულად და ამომწურავად.

ამდენად, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიაჩნია, რომ გადაწყვეტილება არ არის იურიდიულად საკმარისად დასაბუთებულია, რაც წარმოადგენს გადაწყვეტილების გაუქმების სამართალეზრივ საფუძველს.

4. გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების დასაბუთება:

4.1. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2. მუხლის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

4.2. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377.1. მუხლის თანახმად, სააპელაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით.

4.3. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390.3.,„გ“ მუხლით, სააპელაციო სასამართლოს განჩინება აღწერილობითი და სამოტივაციო ნაწილების ნაცვლად უნდა შეიცავდეს: მოკლე დასაბუთებას გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების ან უცვლელად დატოვების შესახებ. თუ სააპელაციო სასამართლო ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებს და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ ან/და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, მაშინ დასაბუთება იცვლება მათზე მითითებით.

5. შემაჯამებელი სასამართლო დასკვნა:

5.1. სააპელაციო სასამართლო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390.3.,„გ“ მუხლის შესაბამისად, ეთანხმება და იზიარებს პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებს და დასკვნებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით და მიუთითებს მათზე; ამასთან, სააპელაციო სასამართლო სააპელაციო საჩივრების ფარგლებში დამატებით განამარტავს შემდეგს:

საქმის მასალებით დადგენილია, რომ მოსარჩელემ განცხადებით შიშართა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს და საჯარო ინფორმაციის სახით მოითხოვა შემდეგი ინფორმაცია: 1. 2013 წელს სამინისტროს თანამდებობის პდრებზე (ცალ-ცალკე

სახელისა და გვარის მითითებით) დარიცხული პრემიების ოდენობა თვეების მიხედვით; 2. 2013 წელს სამინისტროს თანამდებობის პირებზე (ცალ-ცალკე სახელისა და გვარის მითითებით) დარიცხული სახელფასო დანამატების ოდენობა თვეების მიხედვით; 3. მინისტრის და მისი მოადგილეების უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტების ქსეროასლები; 4. 2014 წლის იანვრის თვეში მინისტრის სამუშაო ელექტრონული ფოსტიდან სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებით გაგზავნილი და მიღებული წერილების ასლები; 5. 2013 წელს სამინისტროს მიერ გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯები (კონკრეტული ღონისძიებების ჩამონათვალის, თითოეულზე დახარჯული თანხის, ღონისძიების ჩატარების დროის, ადგილისა და მოწვეულ სტუმართა და სამინისტროსაგან წარმოდგენილ დასმწრე პირთა ოდენობის მითითებით); 6. 2013 წელს თანამდებობის პირების (ცალ-ცალკე სახელისა და გვარის მითითებით) მიერ როუმინგულ მომსახურებაზე გაწეული ხარჯები; 7. 2013 წელს სამინისტროს თანამდებობის პირების ქვეყნის გარეთ განხორციელებულ ოფიციალურ და სამუშაო ვიზიტებზე გაწეული სამივლინებო ხარჯების (სასტუმრო, მგზავრობა, დღიური და სხვა) შესახებ ინფორმაცია (ხარჯვითი კატეგორიების მიხედვით), მივლინების თარიღის, მივლინების მიზნისა და ქვეყნის მითითებით; 8. 2013 წელს საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის თანახმად, შესყიდვის გადაუდებლად განხორციელების აუცილებლობის შესახებ შესაბამისი მიწერილობა (წერილობითი შეთანხმება) შემსყიდველის ზემდგომ ან სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელ ორგანოსთან/თანამდებობის პირთან; 9. 2013 წელს გადაუდებელი აუცილებლობით განხორციელებული შესყიდვების სია, შესყიდვების სახეობის, მოცულობის, ობიექტისა და თანხის მითითებით; 10. იმ ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და კომპიუტერული ტექნიკის სია, რომელიც სახელმწიფო შესყიდვების მოქმედი კანონმდებლობით ახალი, იმავე ან გაუმჯობესებული პარამეტრების მქონე ერთი ან ერთზე მეტი ავტოსატრანსპორტო საშუალებით, კომპიუტერული ტექნიკით ჩანაცვლდა (თითოეულის მიმართ ახალი ღირებულებისა და ჩასანაცვლებელი ქონების შეფასებული ღირებულების მითითებით); 11. სამინისტროს ბალანსზე რიცხულ ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე 2013 წელს გაწეული ტექნიკურ მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯების შესახებ ინფორმაცია; 12. 2013 წლის აუდიტორული შემოწმების აქტები; 13. 2013 წელს აუდიტორული შემოწმების შედეგების ამსახველი ინფორმაციის სამართალდამცავ ორგანოებში გაგზავნის შემთხვევების რაოდენობა; 14. 2013 წელს აუდიტორიული შემოწმების შედეგად დასაქმებულთათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შემთხვევების ოდენობა (პასუხისმგებლობების ფორმის, სახისა და გამოყენების თარიღის მითითებით); 15. 2013 წელს მაკონტროლებელი (როგორც შიდა უწყებრივი, ისე გარე) ორგანოების მიერ შემოწმებით გამჭვლენილი დარღვევა-ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად გატარებულ ღონისძიებებზე ნუსხა (მათი მოკლე აღწერილობის მითითებით).

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2014 წლის 5 მარტის №01/13928 წერილით განმცხადებელს მიეწოდა შემდეგი სახის ინფორმაცია: 1. 2013 წელს ფინანსთა სამინისტროს თანამდებობის პირებზე დარიცხული პრემიების რაოდენობა შეადგენს - 175365 ლარს; 2. 2013 წელს ფინანსთა სამინისტროს თანამდებობის პირებზე დარიცხული სახელფასო დანამატების ოდენობა შეადგენს 648819 ლარს. ასევე ეცნობა, რომ ფინანსთა სამინისტროს ხელმძღვანელი თანამდებობის პირთა ხელფასების და პრემიების შესახებ დეტალური ინფორმაციის გაცნობა შესაძლებელი იყო www.declaration.gov.ge ვებ-გვერდზე. 3. განცხადების მე-3

პუნქტით მოთხოვნილი ინფორმაცია განმცხადებელს გაეგზავნა დანართის სახით. 4. ფინანსთა მინისტრის ელ-ფოსტიდან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებულ-გაგზავნილი წერილები არ წარმოადგენენ საჯარო ინფორმაციას; 5. 2013 წელს ფინანსთა სამინისტრომ უმასპინძლა 33 საერთაშორისო დელეგაციას (დელეგაციების შემადგენლობაში სხვადასხვა შემთხვევაში შედიოდა 3-დან 80-მდე პდამიანი). მათი მასპინძლობისათვის ფინანსთა სამინისტროს ბიუჯეტიდან დაიხარჯა 188 395,40 ლარი. დელეგაციების, მისიებისა და ვიზიტების შესახებ ინფორმაციის მოძიება შეიძლებოდა ფინანსთა სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.mof.ge. 6. 2013 წელს ფინანსთა სამინისტროს თანამდებობის პირების წარმომადგენელ მომსახურებაზე გაწეული ხარჯი შეადგენს 1461,83 ლარს; 7. 2013 წელს ფინანსთა სამინისტროს თანამდებობის პირების ქვეყნის გარეთ განხორციელებულ ოფიციალურ და სამუშაო ვიზიტებზე გაწეული ხარჯი შეადგენს 143554.73 ლარს (მათ შორის: დღიური - 41277.25 ლარი; სასტუმრო - 53665.01 ლარი; მგზავრობა 45869.57 ლარი, სხვა ხარჯები 2742.90 ლარი); 8. ფინანსთა სამინისტროს მიერ 2013 წლის განმავლობაში გადაუდებელი აუცილებლობით განხორციელდა 294890.43 ლარის ოდენობის საქონლის/მომსახურების შესყიდვა; 9. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ცენტრალური აპარატის თანამდებობის პირებზე განპიროვნებული 17 ავტომანქანის ტენიკური მომსახურების ხარჯი 2013 წლის განმავლობაში შეადგენს 36005.30 ლარს; 10. 2013 წელს ფინანსთა სამინისტროს ცენტრალური აპარატისათვის ჩანაცვლების წესით შეძენილ იქნა 22 ავტომანქანა, ღირებულებით - 212805.00 ლარი; 11. აუდიტორული შემოწმების შესახებ განმცხადებელს ეცნობა, რომ 2013 წელს აუდიტორული შემოწმება ფინანსთა სამინისტროს ცენტრალურ აპარატში არ განხორციელებულა.

სააპელაციო პალატა მიუთითებს, რომ ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია (განცხადების პირველი და მე-2 პუნქტები) შეეხებოდა 2013 წელს სამინისტროს თანამდებობის პირებზე (სახელობითად) დარიცხული პრემიებისა და სახელფასო დანამატების ოდენობას, თვეების მიხედვით, ხოლო საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ აღნიშნული ინფორმაცია გასცა 2013 წელს გაცემული პრემიებისა და დანამატების მთლიანი ოდენობის სახით, რაც არ შეესაბამებოდა განმცხადებლის მოთხოვნას; სააპელაციო პალატა იზიარებს პირველი ინსტანციის სასამართლოს პოზიციას იმის შესახებ, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ საჯარო ინფორმაციის ზემოთ აღნიშნული სახით გაცემა არ შეესაბამება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 თავით დადგენილ სტანდარტს, ვინაიდან თანამდებობის პირზე დარიცხულ პრემიას/დანამატს, თავად ამ პირის პერსონალური მონაცემების მითითებით გააჩნია საჯარო ინფორმაციის მახასიათებლები და დაინტერესებული პირის მიერ მოთხოვნის შემთხვევაში იგი უნდა გაიცეს იმ ფორმით, როგორც მას განმცხადებელი მოითხოვს. სააპელაციო პალატა ასევე იზიარებს პირველი ინსტანციის სასამართლოს პოზიციას იმის შესახებ, რომ საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა არ გულისხმობს ადმინისტრაციული ორგანოს მითითებას იმ ვებ-გვერდზე, სადაც ეს ინფორმაცია არის განთავსებული , მაგ, (www.declaration.gov.ge);

სააპელაციო პალატამიუთითებს, რომ ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია (განცხადების მე-5 პუნქტი) შეეხებოდა 2013 წელს გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯების ოდენობას, კონკრეტული ღონისძიებების ჩამონათვალის, თითოეულზე დახარჯული თანხის, ღონისძიების ჩატარების დროის, ადგილისა და მოწვეულ

სტუმართა და სამინისტროსაგან წარმოდგენილ დასმწრე პირთა ოდენობის მითითებით, ამასთან, განცხადების მე-7 პუნქტით განმცხადებელი მოითხოვდა 2013 წელს სამინისტროს თანამდებობის პირების ქვეყნის გარეთ განხორციელებულ ოფიციალურ და სამუშაო ვიზიტებზე გაწეული სამიწვლანობო ხარჯების (სასტუმრო, მგზავრობა, დღიური და სხვა) შესახებ ინფორმაციას (ხარჯვითი კატეგორიების მიხედვით), მივლინების თარიღის, მივლინების მიზნისა და ქვეყნის მითითებით; აღნიშნულ მოთხოვნებზე სამინისტრომ გასცა შემდეგი სახის ინფორმაცია: 2013 წელს ფინანსთა სამინისტრომ უმასპინძლა 33 საერთაშორისო დელეგაციას (დელეგაციების შემადგენლობაში სხვადასხვა შემთხვევაში შედიოდა 3-დან 80-მდე ადამიანი). მათი მასპინძლობისათვის ფინანსთა სამინისტროს ბიუჯეტიდან დაიხარჯა 188 395,40 ლარი. დელეგაციების, მისიებისა და ვიზიტების შესახებ ინფორმაციის მოძიება შეიძლებოდა ფინანსთა სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.mof.ge; 2013 წელს ფინანსთა სამინისტროს თანამდებობის პირების ქვეყნის გარეთ განხორციელებულ ოფიციალურ და სამუშაო ვიზიტებზე გაწეული ხარჯი შეადგენს 143554.73 ლარს (მათ შორის: დღიური - 41277.25 ლარი; სასტუმრო - 53665.01 ლარი; მგზავრობა 45869.57 ლარი, სხვა ხარჯები 2742.90 ლარი); ამავე განცხადების მე-8, მე-9 და მე-10 პუნქტები შეეხებოდა სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას შესყიდვების პროცედურის, სახეობების, მოცულობის, ჩანაცვლებული ტექნიკის თაობაზე და სხვა ინფორმაციის საჯაროობას; ასევე დადგენილია, რომ განმცხადებელს ინფორმაცია სახელმწიფო შესყიდვების პროცედურასთან დაკავშირებით (განცხადების მე-8 პუნქტი) არ გადასცემია, ხოლო განცხადების მე-5, მე-7, მე-9 და მე-10 პუნქტებით მოთხოვნილ ინფორმაციაზე მას გადაეცა (თითოეულისათვის) 2013 წელს გაწეული ხარჯის ჯამური მონაცემი;

სააპელაციო პალატა იზიარებს პირველი ინსტანციის იმის შესახებ, რომ მოპასუხის მიერ წარმოდგენილი ხარჯების განსაზღვრისათვის ადმინისტრაციული ორგანოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე ინფორმაციის მოძიების შესაძლებლობაზე მითითება, არ წარმოადგენს საჯარო ინფორმაციის გაცემას და არ შეესაბამება კანონმდებლობის მოთხოვნებს; ამასთან სამინისტროს ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაცია დელეგაციების, მისიებისა და ვიზიტების თაობაზე არ იძლევა ამ ღონისძიებებისათვის გაწეული ხარჯების გამიჯვნის შესაძლებლობას;

სააპელაციო პალატა იზიარებს პირველი ინსტანციის სასამართლოს პოზიციას იმის შესახებ, რომ განმცხადებელს არ გადასცემია ინფორმაცია "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის შესაბამისად, გათვალისწინებული აუცილებლობით განხორციელებული შესყიდვების თაობაზე წერილობითი შეთანხმების, შესყიდვების სიისა და სხვა ინფორმაციის შესახებ (განცხადების მე-8, მე-9, მე-10 პუნქტები), რადგან სამინისტროს მიერ გაცემული პასუხი "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონით გათვალისწინებულ რომელიმე გამონაკლისზე მითითებას არ შეიცავს.

სააპელაციო პალატა მიუთითებს, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე მუხლის მე-2 ნაწილი ადგენს ზოგად წესს, იმის შესახებ, რომ საჯარო ინფორმაციის მისაღებად პირი წარადგენს რა წერილობით განცხადებას, აუცილებელი არ არის, განცხადებაში მიეთითოს საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის მოტივი ან მიზანი, შესაბამისად, განმცხადებელი საკანონმდებლო დანაწესით არ არის შეზღუდული მოითხოვოს კონკრეტული შინაარსის საჯარო ინფორმაცია, შესაბამისად, პირი თავად განსაზღვრავს ინფორმაციის შინაარსს მისთვის საჭირო მიზნობრიობიდან გამომდინარე; მოცემულ შემთხვევაში საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ

მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია სხვა მონაცემით (წლიური ჯამის სახით) ასახა მის მიერ გაცემულ პასუხში, რაც ვერ აკმაყოფილებს განმცხადებლის ინტერესს გაეცნოს ადმინისტრაციულ ორგანოს მიერ საბიუჯეტო თანხების ხარჯვის მიზნობრიობას;

სააპელაციო პალატა ასევე მიუთითებს, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37.1 მუხლის მიხედვით განმცხადებელი უფლებამოსილია აირჩიოს საჯარო ინფორმაციის მისაღებად მისთვის სასურველ ფორმა იმ შემთხვევაში, როდესაც საჯარო ინფორმაცია სხვადასხვა ფორმით არსებობს. მოცემულ შემთხვევაში, განმცხადებელს საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ვერსია არ მოუთხოვია, მით უმეტეს, რომ მის მიერ მოთხოვნილი კონკრეტული შინაარსის შემცველი ინფორმაციის ელექტრონული ვერსია სამინისტროს ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული არ ყოფილა, შესაბამისად, მიჩნეული ვერ იქნება, რომ სამინისტრომ 2014 წლის 5 მარტის №01/13928 წერილით განმცხადებელს მიაწოდა მის მიერ მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია;

სააპელაციო პალატას მიაჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად არ გაიზიარა მოპასუხის მითითება ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების თაობაზე და მიუთითა საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აგვისტოს №219 დადგენილებაზე. აღნიშნული ნორმატიული აქტის დანართი შეიცავს პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის ნუსხას. ვებ-გვერდზე - www.mof.ge, - განთავსებულია საჯარო ინფორმაცია; მათ შორის თანამდებობის პირებზე დარიცხული პრემიების/დანამატებისა და სახელსწიფო შესყიდვების თაობაზე ინფორმაცია, რომელიც გამოქვეყნებულია ჯამური მონაცემით და განახლებადია ხსენებულ დადგენილებაში დაწესებული პერიოდულობით. მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელე მოითხოვდა საჯარო ინფორმაციის გაცემას, რომელიც მოიცავდა სრულ კალენდარულ წელს და დაჯგუფებული იყო კონკრეტული კრიტერიუმების მიხედვით. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-40 მუხლის მე-3 ნაწილის დანაწესი ემსახურება იმ მიზანს, რომ საჯარო ინფორმაციის მომთხოვნი პირი არ შეიზღუდოს პროაქტიულად გამოქვეყნებული ინფორმაციის შინაარსით და მისთვის სასურველი ინფორმაცია მიიღოს დადგენილი წესით; აღნიშნულიდან გამომდინარე დასაბუთებულია პირველი ინსტანციის სასამართლოს პოზიცია იმის შესახებ, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვალდებული იყო მიუხედავად ამა თუ იმ ინფორმაციის ელექტრონული ფორმით საიტზე გამოქვეყნებისა, გაეცა ზუსტად იმ შინაარსის ინფორმაცია, რაც განმცხადებლის მიერ ითხოვნილი.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-40 მუხლი ადგენს საჯარო ინფორმაციის გაცემის წესს. აღნიშნული ნორმის პირველი ნაწილის მიხედვით, საჯარო დაწესებულება ვალდებულია გასცეს საჯარო ინფორმაცია, მათ შორის, ელექტრონული ფორმით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია, დაუყოვნებლივ ან არა უგვიანეს 10 დღისა, თუ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე პასუხის გაცემა მოითხოვს: ა) სხვა დასახლებულ პუნქტში არსებული მისი სტრუქტურული ქვედანაყოფიდან ან სხვა საჯარო დაწესებულებიდან ინფორმაციის მოძიებასა და დამუშავებას; ბ) მნიშვნელოვანი მოცულობის ცოდნისგან დაუკავშირებელი ცალკეული დოკუმენტების მოძიებასა და დამუშავებას; გ) სხვა დასახლებულ პუნქტში არსებულ მის სტრუქტურულ ქვედანაყოფთან ან სხვა საჯარო დაწესებულებასთან კონსულტაციას; მოცემულ შემთხვევაში ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის მიერ 2014 წლის 27 იანვარს,

წარდგენილ განცხადებაზე პასუხის გაცემა მოითხოვდა მნიშვნელოვანი მოცულობის ერთმანეთთან დაუკავშირებელი ცალკეული დოკუმენტების მოძიებასა და დამუშავებას. ამგვარად, აღნიშნული ნორმა ავალდებულებს ადმინისტრაციულ ორგანოს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში გადაახარისხოს უკვე დამუშავებული მონაცემი წარმოდგენილი მოთხოვნის შესაბამისად და გასცეს იგი ზუსტად იმ ფორმითა და შინაარსით, როგორცაც მას ირჩევს საჯარო ინფორმაციის მომთხოვნი პირი.

სააპელაციო პალატას მიაჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოების სამართლებრივი ანალიზი ქმნიდა პროცესუალურ საფუძველს იმისათვის, რომ სასამართლოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 24-ე მუხლის და ამავე კოდექსის 33¹ მუხლის საფუძველზე გამოეტანა გადაწყვეტილება და დაევალებინა მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოსათვის გაეცა მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია იმ სახით და იმ შინაარსით, როგორც მას მოსარჩელე ითხოვდა;

სააპელაციო პალატა იზიარებს პირველი ინსტანციის სასამართლოს პოზიციას იმის შესახებ, რომ ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის მოთხოვნა 2014 წლის იანვრის თვეში მინისტრის სამუშაო ელექტრონული ფოსტიდან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით გაგზავნილი და მიღებული წერილების ასლების გადაცემის შესახებ (განცხადების მე-4 პუნქტი) არ აკმაყოფილებს საჯარო ინფორმაციის მოთხოვნისათვის დადგენილ სამართლებრივ საფუძველს და ამ ინფორმაციის გაცემაზე უარი კანონიერია; კერძოდ, სწორედ მოთხოვნა შეეხება საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ სამსახურებრივ ელექტრონული ფოსტიდან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით გაგზავნილი და მიღებული წერილების ასლების გადაცემას, შესაბამისად მოთხოვნილია ელექტრონული დოკუმენტის გაცემა, რომელიც „ ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული დოკუმენტის შესახებ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ა.ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, არის ელექტრონული, ოპტიკური ან სხვა მსგავსი საშუალების გამოყენებით შექმნილი, გაგზავნილი, მიღებული ან შენახული წერილობითი ინფორმაცია, რომელიც ადასტურებს იურიდიული მნიშვნელობის ფაქტს ან იურიდიული მნიშვნელობის არმქონე ფაქტს. ამდენად, ელექტრონული დოკუმენტი, თუ ის მოიცავს საჯარო ინფორმაციას მატარიალური დოკუმენტის მსგავსად ექვემდებარება გაცემას; ამასთან, საჯარო ინფორმაციის სახით უნდა გაიცეს ისეთი ელექტრონული /მატარიალური დოკუმენტი, რომელსაც აქვს დასრულებული სახე; მოცემულ შემთხვევაში განმცხადებელი ითხოვდა 2014 წლის იანვრის თვეში მინისტრის სამუშაო ელექტრონული ფოსტიდან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით გაგზავნილი და მიღებული წერილების ასლების გადაცემას, ამასთან, მას არ მიუთითებია კონკრეტული შინაარსის შესახებ, რაც განსაზღვრავდა ამ წერილების, როგორც საჯარო ინფორმაციის სტატუსს; შესაბამისად, სამინისტროს უარი ამ შემთხვევაში დასაბუთებულად უნდა იქნას მიჩნეული;

6. საპროცესო ხარჯები


6.1. აპელანტის ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის მიერ სახელმწიფო ბაჟი გადახდილია წინასწარ, სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე

უარის თქმის გამო არ არსებობს „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონითა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული სახელმწიფო ბაჟის განაწილების სამართლებრივი საფუძვლები; აპელანტი საქართველოს ფინანსთა სამინისტრო გათავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟის გადახდის ვალდებულებისგან „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „უ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ

და ა დ გ ი ნ ა:

1. ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
3. უცვლელად დარჩეს მოცემულ საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 29 სექტემბრის გადაწყვეტილება
4. განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს საკასაციო წესით საქართველოს უზენაეს სასამართლოში, (თბილისი, ძმ. ზუბალაშვილების ქ.#32) დასაბუთებული განჩინების ასლის მხარისათვის გადაცემის მომენტიდან ოცდაერთი დღის ვადაში თბილისის სააპელაციო სასამართლოს მეშვეობით (თბილისი, გრ. რობაქიძის გამზ.#7ა).

მოსამართლე:  ქეთევან დუგლაძე